განმარტებითი ბარათი

დაგეგმარების საფუძვლების და მიზნის აღწერა:

პროექტის მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარების პრინციპების და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობის აღწერა:

საპროექტო ტერიტორია განთავსებულია ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №5-ში. მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 01.14.06.006.160 საკადასტრო კოდით და მისი ფართობი შეადგენს 1886 კვ.მ-ს.

გრგ-თი შეთანხმებულია 2 სექტორი, აქედან პირველ სექტორზე მშენებლობა დასრულებულია და პროექტი ექსპლუატაციაშია მიღებული. მეორე სექტორზე გრგ-თი გათვალისწინებულია 4 შენობის განთავსება, მათგან ორი მშენებარეა, რომელთათვისაც გამოყოფილია ცალკე საკადასტროები გრგ-ს მოთხოვნების შესაბამისად (სექტორი 2A და სექტორი 2C), დარჩენილი 2 შენობიდან, წინამდებარე პროექტი წარმოდგენილია ქვე-სექტორი 2B-ში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ასაშენებლად. შესაბამისად სექტორისათვის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოადგენს მშენებარე და ჯამურ მაჩვენებლებს ოთხივე საკადასტროს გათვალისწინებით.

საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის“ იპოთეკა.

მიწის ნაკვეთი ვითარდება ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული გრგ-ს (განკარგულება N568 (19.11.2021 წ.) შესაბამისად და წარმოადგენს გრგ-თი გათვალისწინებული მე-2 სექტორის ერთ-ერთ შენობას. განაშენიანების რეგულირების გეგმა და შემდგომში მასზე დაყრდნობით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტები ეფუძნება საკრებულოს გადაწყვეტილებას №4-13.

მე-2 სექტორში გათვალისწინებულია სულ ოთხი შენობის მშენებლობა საიდანაც ერთი 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლია, რომელიც 2 (A და B) ბლოკისაგან შედგება, მეორე (მიმდინარე პროექტით წარმოდგენილი) - სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი; მესამე და მეოთხე ამჟამად მშენებარე ორი საცხოვრებელი სახლი.

მოცემული გრგ-ს პირველი ეტაპი დასრულებულია და მიღებულია ექსპლუატაციაში, ხოლო მეორე ეტაპის მშენებლობები პროცესშია შეთანხმებული პროექტების შესაბამისად.

მეორე სექტორი დაყოფილია 4 საკადასტრო ერთეულად: 01.14.06.006.084, 01.14.06.006.158, 01.14.06.006.159, 01.14.06.006.160.

წარმოდგენილ საპროექტო ობიექტს ჩრდილოეთიდან ემიჯნება ჩვენსავე საკუთრებაში არსებული საკადასტრო ერთეული, რომელზეც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. აღმოსავლეთით ესაზღვრება 01.14.06.006.159 საკადასტრო ერთეული, სხვა, ასევე ჩვენს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე მშენებარე ობიექტით. სამხრეთით-დასავლეთით, საპროექტო შენობას ემიჯნება 01.14.06.006.157 თბილისის მუნიციპალიტეტის რეგისტრირებული გამწვანებული სივრცე.
ვინაიდან მიწის ნაკვეთი სამკუთხედის ფორმისაა, მას ოთხი მხარე არ აქვს.

<u>პროექტის კონცეფცია იდეა:</u>

სივრცითი მოცულობითი გადაწყვეტისას კარგად იქნა გამოყენებული მიწის კონფიგურაცია, საშუალო სირთულის რელიეფი, გზათა სისტემები და არსებული გარემო. სამეზობლო კონტაქტები.

<u>პროექტის შინაარსობრივი აღწერა:</u>

წარმოდგენილი საპროექტო ობიექტი ერთ მოცულობას წარმოადგენს და სრულად სპორტულ გამაჯანსაღებელი ფუნქციითაა დატვირთული.

შენობის აბსოლუტური ნოლი ±0.00 ზღვის დონიდან +547.30-ს წარმოადგენს.

შენობის მთავარი შესასვლელი დანელიას ქუჩიდან ეწყობა, რომელიც საპროექტო შენობას უკავშირდება როგორც 2A ისე 2C სექტორებიდან. 2C სექტორში მშენებარე შენობიდან ქუჩაზე გასასვლელად გათვალისწინებულია ამ ობიექტის პროექტშივე არსებული პასაჟი შენობის ქვეშ. შენობების აბსოლუტური ნოლის სხვაობიდან გამომდინარე, მათი დაკავშირება პანდუსის თავზე ხდება ხიდი/კიბის საშუალებით.

საპროექტო შენობა მოიცავს 2 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართულს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით მიწისზედა სართული ორი გამოდის, რეალურად მხოლოდ ერთი სცდება მიწის დონეს, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ჩრდილოეთით ესაზღვრება პანდუსი, ოფიციალურად ორი მიწისზედა სართულია და შესაბამისად აბსოლუტური ნოლიც ბასეინის დონეზეა.

სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში მთავარი შესასვლელი მოწყობილია მეორე მიწისზედა სართულზე (ნიშნული +3.40), სადაც განთავსებულია ფოიე, გასახდელები, ტექნიკური ოთახები, ადმინისტრაცია და ტრენაჟორების დარბაზი.

შენობის პირველ სართულზე მდებარეობს ორი საცურაო აუზი: სტანდარტული ზომის (25-მეტრიანი) და საბავშვო (არასტანდარტული). ამავე სართულზეა კაფე, საუნა და აუზის გამოსაცვლელი ოთახები და საშხაპეები.

-1 სართულზე ძირითადად ბასეინისთვის აუცილებელი ტექნიკური და დამხმარე სათავსებია და ჯგუფური ტრენინგის ოთახები.

მეორე სართულზე, სატრენაჟორო დარბაზის გასწვრივ დაგეგმილია შიდა ეზოს მოწყობა, რომელიც შემოზღუდულია ბუნებრივი კედლით და განკუთვნილია ღია სივრცეში ვარჯიშებისთვის (იოგა, პილადესი, მეკლდეურობა...). მოცემულ ეზოში გასვლა მხოლოდ მეორე სართულიდანაა შესაძლებელი.

აუზის დონეზე მოწყობილია ტერასა ხედით ვერეს ხეობაზე. ტერასაზევეა მცირე ზომის ბარი და შესაძლოა გარე ჯაკუზის მოწყობა.

სართულები ერთმანეთს უკავშირდება ორი კიბით და ერთი ლიფტით. შენობაში მოხვედრა შესაძლებელია, როგორც მეორე სართულიდან (მთავარი შესასვლელი), ისე პირველ სართულზე განთავსებული საევაკუაციო გასასვლელიდან. ამასთანავე დაგეგმილია -1 სართულზე შესასვლელის მოწყობა, რათა კომპლექსში მომსვლელებმა შეძლონ შენობაში მოხვედრა უშუალოდ პარკინგიდან, რომელიც განთავსებულია მომიჯნავე შენობის მიწისქვეშა მე-2 სართულზე.

არქიტექტურა მინიმალისტურია და მაქსიმალურად ერგება რელიეფს. სამხრეთის ფასადი ერწყმის მიწას და მხოლოდ ორი სართულით გადმოჰყურებს ვერეს ხეობას.

ჩრდილოეთით კედლები უმეტესწილად პანდუსზე გადის და მხოლოდ ვიტრაჟული ფასადით (1 სართულის ნახევარი ფრონტი) გამოდის 2c შენობისკენ.

აღმოსავლეთის ფასადი მინიმალისტურია და ყრუ კედელზე კიბითაა დამშვენებული.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ტერიტორია მოქცეულია მიმდებარედ მშენებარე 2ც ბლოკის სამშენებლო ღობეში, როგორც ეს გათვალისწინებული იყო მშენებლობის ნებართვითა და შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით. ტერიტორია არსებული მდგომარეობით არ არის დაკავებული შენობანაგებობებით.

შენობაში მოწყობილია ორი შიგა გასასვლელის გზა კიბე და ასევე გარე გზა-კიბეები. შენობიდან გამოსვლა, როგორც აღვნიშნეთ, ხდება როგორც ±0.00 ნიშნულზე, ისე +3.40 ნიშნულზე, საიდანაც გარე გზა-კიბის მეშვეობით შესაძლებელია მოხვედრა საზოგადოებრივ სივრცეში. შიგა გასასვლელის გზა კიბეები ნიავდება მექანიკურად. შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს აკავშირებს დერეფნები, სადაც გათვალისწინებულია კვამლის მექანიკური გაწოვა. მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო შენობის ±0.00 ნიშნულზე მდებარე ყველა მისაწვდომ შესასვლელამდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე. +3.40 ნიშნულზე შენობას გააჩნია ერთი მთავარი შესასვლელი, რომელიც ასევე რის მისაწვდომია.

საპროექტო შენობას გააჩნია 1 ლიფტი, რომელსაც (სართულიანობის გამო) შემოზღუდული ფოიეები არ ესაჭიროება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლიფტის შახტას არც დაწნევა მოეთხოვება. ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის.

+3.40 ნიშნულზე მდებარეობს ატრიუმი, რომელიც მომიჯნავე სივრცეებისგან გამიჯნულია მინის კედლით და რომელიც კვამლგაუმტარ ტიხარს ქმნის.

საპროექტო შენობა აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, რომელიც მოთხოვნილია №41 დადგენილებით: 1) საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. +3.40 ნიშნულზე, ატრიუმის გარშემო გათვალისწინებულია ე.წ „დრენჩერის ფარდა“; 2) შენობის ყველა გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. 3) შენობაში ასევე გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები - გასასვლელებთან დამონტაჟდება ხელით სამართავი კოლოფები; პრაქტიკულად, ყველგან, კიბის უჯრედების და ტუალეტის ოთახების გარდა გათვალისიწნებულია კვამლის ავტომატური აღმომჩენები; რაც შეეხება სახანძრო სიგნალიზაციის (ხმოვანი და ვიზუალური განგაშის) სისტემას, ის მოეწყობა ყველა ძირითად დაკავებულ სივრცეში, კიბის უჯრედების, ტუალეტის ოთახების, მექანიკური მოწყობილობების სივრცის, საწყობების და დამხმარე სათავსების გარდა; 4) შენობაში გათვალისწინებულია კვამლის კონტროლის სისტემა, კერძოდ: გზა-კიბეებს გააჩნია მექანიკური განიავების სისტემა (ჰაერის მოდინება გაწოვა); დერეფნები და მიწისქვეშა სართული აღჭურვილია მექანიკური კვამლგამწოვი სისტემებით. რაც შეეხება ლიფტის შახტას, ვინაიდან ის აკავშირებს მხოლოდ 3 სართულს, მას ცეცხლმედეგი ფოიეები არ მოეთხოვება, შესაბამისად არ არის საჭირო დაწნევის სიტემაც; 5) შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება; 6) შენობას გააჩნია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი; 7) საპროექტო შენობას გააჩნია სხვისი დახმარებით თავდაღწევისათვის განკუთვნილი გარე ფართობი (ფართობი მოწყობილია ±0.00 ნიშნულზე, „G-H“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბის გარეთ), რომელსაც ესაჭიროება ორმხრივი კავშირის სისტემა და რომელიც, გათვალისწინებულია სამივე სართულზე, ლიფტთან ახლოს; 8) საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საუბარია განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრულ არეალზე), გარე ხანძარქრობისათვის, გათვალისწინებულია 1 სახანძრო ჰიდრანტი, რომელიც საპროექტო შენობიდან დაახლოებით 32 მეტრის დაშორებითაა;

<u>ყველა ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობას და შემდგომ ზედამხედველობას უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური და სახანძრო სისტემების სპეციალისტები.</u>

<u>პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:</u>

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან სისტემას წარმოადგენს. სახანძრო უსაფრთხოების წესების მიხედვით კონსტრუქციულ ტიპად განსაზღვრულია II-B ტიპი.

შენობის დაგეგმარებისას გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

"მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება.

"ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქთბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე.

ასევე, ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“ 732 დადგენილება.

შ.პ.ს “ქალაქპროექტი“

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.06.006.160) დაპროექტებული დახურული საცურაო აუზის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

დირექტორი: მანუჩარ მახათაძე

ექსპერტი: ირაკლი კვარაცხელია

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 3

საექსპერტო შეფასების გამოყენების წესები:

- საექსპერტო შეფასება მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს;

- საექსპერტო შეფასებაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში“ გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით;

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არ არის ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის ძალადაკარგვას;

- არქიტექტურულ პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე შეფასების ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან;

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე;

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პროექტის შემადგენლობა;
4. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმა (გენგეგმა)
5. შენობის ყველა სართულის გეგმა (არქიტექტურული ნაწილი);
6. შენობის ფასადები (არქიტექტურული ნაწილი);
7. შენობის ჭრილები (არქიტექტურული ნაწილი);
8. გზა-კიბის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
9. კარის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
10. ძელსკამის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
11. ლიფტის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
12. საფასადე სიბრტყეების გადახურვის ფილის კვეთის და კედლების კვეთის დეტალიზაცია (არქიტექტურული ნაწილი);
13. მიწის საკონტროლო დონის გამოთვლის გეგმა (არქიტექტურული ნაწილი);
14. შენობის ყველა სართულის გეგმა (დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი);
15. შენობის ჭრილები (დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი);
16. შენობის ყველა სართულის გეგმა (ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
17. შენობის ჭრილები (ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
18. შენობის ყველა სართულის გეგმა (მისაწვდომობის ნაწილი);
19. წყალსადენი მოწყობილობების დეტალური ნახაზები (მისაწვდომობის ნაწილი);
20. ნიშნების დეტალური ნახაზები.

საექსპერტო დასკვნის შემადგენელი ნაწილები:

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება;
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6. მისაწვდომობის შეფასება;
7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8. სახურავის ანაწყობების შეფასება;
9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;
10. ატრიუმის შეფასება;
11. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება;
13. ლიფტის შეფასება;
14. სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა - ნაგებობასთან მისასვლელი გზების შეფასება.

<u>გამოკვლევა:</u>

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

1) **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (სახანძრო ავზების და ტუმბოს ოთახი -3.40 ნიშნულზე; ტექნიკური მოწყობილობების სივრცე -3.40 ნიშნულზე; დამხმარე სათავსოები -3.40 და +3.40 ნიშნულებზე)
<u>აღნიშნული შეესაბამება 312.1 ქვეთავს.</u>

2) **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (ინვენტარის საწყობები -3.40, ±0.00 და +3.40 ნიშნულებზე)
აღნიშნული შეესაბამება 311.2 ქვეთავს.

3) **საქმიანი ჯგუფი სქ** (გასახდელები, მწვრთნელის ოთახი და ბარის სამზარეულო ±0.00 ნიშნულზე; მიმღები და კაფე, სამასაჟო სივრცე და ადმინისტრაციის სივრცე +3.40 ნიშნულზე)
აღნიშნული შეესაბამება 303.1.2 და 304.1 ქვეთავებს.

4) **თავშეყრის ჯგუფი თვ-3** (ჯგუფური ვარჯიშების ოთახი -3.40 ნიშნულზე; აუზების სივრცე საუნებით და ტერასა ±0.00 ნიშნულზე; ტრენაჟორების სივრცე +3.40 ნიშნულზე)
აღნიშნული შეესაბამება 303.4 ქვეთავს.

საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის სწორედ არის განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვები ანუ 1004.1.2 ცხრილის მიხედვით არჩეულია სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობები გაყოფილია, ზემოხსენებული ცხრილის შესაბამის, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებზე, კერძოდ:

- **დს** ჯგუფის დაკავებულობის მქონე ფართობებისთვის მიკუთვნებულია დამხმარე სათავსების და მექანიკური მოწყობილობების ოთახის სტატუსი და შემდგომ თითოეული ამ სივრცის ფართობი გაყოფილია 27,9-ზე;

- სასაწყობე ფართობებისთვის **(სწ-1)** მიკუთვნებულია საწყობის სტატუსი და შემდგომ თითოეულის ფართობი გაყოფილია 46,5-ზე;

- **სქ** ჯგუფის დაკავებულობის მქონე ისეთი სივრცეებისთვის, როგორიცაა: ადმინისტრაციის სივრცე და მწვრთნელის ოთახი, მიკუთვნებულია საქმიანობის

წარმოების ფართობის სტატუსი და შემდგომ თითოეულის ფართობი გაყოფილია 9,3-ზე;

- **სქ** ჯგუფის დაკავებულობის მქონე ისეთი სივრცისთვის, როგორიცაა მიმღები და კაფე, მიკუთვნებულია არაფიქსირებული დასაჯდომებიანი თავშეყრის ფართობის (არაკონცენტრირებულის) სტატუსი და შემდგომ მისი ფართობი გაყოფილია 1,4-ზე;

- **სქ** ჯგუფის დაკავებულობის მქონე ისეთი სივრცისთვის, როგორიცაა ბარის სამზარეულო, მიკუთვნებულია სამზარეულოს სტატუსი და შემდგომ მისი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;

- **თვ-3** ჯგუფის დაკავებულობის მქონე ისეთი სივრცეებისთვის, როგორიცაა: აუზების სივრცე საუნებით, ჯგუფური ვარჯიშების ოთახი და ტრენაჟორების სივრცე, მიკუთვნებულია საცურაო აუზის ან/და სპორტული ვარჯიშებისთვის განკუთვნილი სივრცის სტატუსი და შემდგომ თითოეული ამ სივრცის ფართობი გაყოფილია 4,7-ზე;

- **თვ-3** ჯგუფის დაკავებულობის მქონე ისეთი სივრცისთვის, როგორიცაა ტერასა, მიკუთვნებულია თავშეყრის ფართობის (არაკონცენტრირებულის) სტატუსი და შემდგომ მისი ფართობი გაყოფილია 1,4-ზე;

- რაც შეეხება გასახდელებს და სამასაჟე სივრცეს, ამ ფართობების დაკავებულობის დატვირთვა გამოთვლილია რეალური დამკავებლების მიხედვით, რაც დასაშვებია 1004.1.2 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით.

<u>დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციულ ტიპად განსაზღვრულია **II-B** ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობების, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503-ე ცხრილისა და 506.3 ქვეთავის მოთხოვნებს (შენობა მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით).

  შენიშვნა: 601-ე ცხრილის მიხედვით, II-B ტიპის კონსტრუქციის მქონე შენობის ელემენტებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, დაკავებულობების და კონსტრუქციული ტიპის (**II-B**) გათვალისწინებით, საპროექტო შენობის სიმაღლე (შესაბამისად სართულიანობა) და ფართობი, შეესაბამება 503-ე ცხრილისა და 506.3 ქვეთავის მოთხოვნებს;

- საპროექტო შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის საკონტროლო დონიდან 9.16 მეტრია, ხოლო შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 5.20 მეტრის სიმაღლეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს შენობა არ არის მაღლივი და მისი სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე არ აღემატება 10 მეტრს (იხ. 915-ე ქვეთავი).

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობის თითოეულ სართულს, დაკავებულობებიდან, დაკავებულობის დატვირთვებიდან (49-ზე მეტი და 500-ზე ნაკლები) და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე, 1021.2(2) ცხრილის თანახმად, ესაჭიროება ორი გასასვლელი საშუალება, რაც პროექტით გათვალისწინებულია შიგა გასასვლელის გზა-კიბეების სახით. კიბეებთან (გასასვლელებთან) მისადგომი გზა-კარები მოწყობილია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით, ანუ ისინი ერთმანეთისგან, 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით), დაშორებულია სართულის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთიმესამედით. 1022.1 ქვეთავის შესაბამისად, „G-H“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კიბე, ±0.00 ნიშნულზე, პირდაპირ მიემართება შენობის გარეთ, საიდანაც საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა შესაძლებელია გარე გზა-კიბის მეშვეობით, ხოლო რაც შეეხება „C-D“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კიბეს, ის +4.30 ნიშნულზე მიემართება შენობის გარეთ 1023-ე ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი გზა-დერეფნის გავლით, რაც ასევე აკმაყოფილებს 1022.1 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-დერეფანში გვხვდება გასასვლელთან მისადგომის ერთმარშიანი გზა-კიბე (ამ კიბის საშუალებით შენობიდან გამოსვლა ხდება +3.40 ნიშნულზე), რაც არ ეწინააღმდეგება წესების მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ +3.40 ნიშნულზე მდებარე სართულს, რომელიც ამავდროს წარმოადგენს შენობიდან გამოსასვლელის ძირითად დონეს, გააჩნია მესამე გასასვლელი საშუალებაც „G-F“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კარის სახით;

- ყველა იმ ცალკეულ სივრცესა თუ ფართობს, რომლის დაკავებულობის დატვირთვა 49-ზე მეტია, გააჩნია მინიმუმ ორი გასასვლელის გზა-კარი, თანახმად 1015.1 ცხრილისა;

- 1022.2 ქვეთავის თანახმად, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდული უნდა იყოს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით (გზა-კიბეები აკავშირებს მხოლოდ 3 სართულს), რაც პროექტით გათვალისწინებულია ანუ მათ შემომზღუდავებს წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის სტრუქტურული ელემენტები (დიაფრაგმები) ან/და სამშენებლო ბლოკის კედლები, რომლებსაც 721.1.(1) 721.1.(2) ცხრილების თანახმად, გააჩნია ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხზე მეტი. შენობიდან გზა-კიბეზე გასასვლელი კარის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 60 წუთი, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები ნიავდება მექანიკურად;

  შენიშვნა №1: შენობიდან გზა-კიბეზე გასასვლელი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.1 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

  შენიშვნა №2: გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარები 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

  შენიშვნა №3: 1006.2 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების და ზოგადად გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს აკავშირებს დერეფნები, რომლებიც მოწყობილია 1018-ე ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. დერეფნებში

გათვალისწინებულია კვამლის მექანიკური გაწოვა (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

შენიშვნა: დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს დერეფნები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- შენობიდან გამოსვლა, როგორც აღვნიშნეთ, ხდება როგორც ±0.00 ნიშნულზე, ისე +3.40 ნიშნულზე, საიდანაც უკვე შესაძლებელია მოხვედრა როგორც საზოგადოებრივ სივრცეში (გარე გზა-კიბის მეშვეობით), ისე ეზოში, სადაც გათვალისწინებულია, 1027.5 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისი, უსაფრთხო გამანაწილებელი ფართობი;

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- ყველა გზა-კიბის (როგორც შიგა გასასვლელის, ისე გასასვლელთან მისადგომის და გარესი) თავისუფალი სიგანე (მოაჯირებს შორის) არის 1.43 მ და მეტი, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად. სახელურები მოწყობილია კიბის ორივე მხარეს, 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის

მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- +3.40/+4.30 ნიშნულებზე მდებარე, ერთ-ერთ-გზა-კიბესთან მოწყობილი გზა-დერეფნის მინიმალური სიგანე არ არის 1.20 მ-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 1005.1 და 1023.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ყველა კარის (რომელიც არის გასასვლელი საშუალების ნაწილი/კომპონენტი) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს;

- დერეფნები მოწყობილია 1018-ე ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნების სიგანე შესაბამება 1005.3.2 ქვეთავისა და 1018.2 ცხრილის მოთხოვნებს. ჩიხური დერეფნების სიგრძე აკმაყოფილებს 1018.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ: არც ერთი დერეფნის ჩიხის სიგრძე არ აღემატება 15.0 მეტრს, რაც დასაშვებია 1018.4 ქვეთავის №2 გამონაკლისით, ვინაიდან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით;

- იმისათვის, რომ გამოვითვალოთ 1027.5 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისი, უსაფრთხო გამანაწილებელი ფართობის ფართობი, ჯერ უნდა დავადგინოთ თუ რა რაოდენობის დამკავებელი მოიყრის აქ თავს და ეს გახლავთ: -3.40 ნიშნულზე მდებარე სართულის დამკავებელთა ნახევარი (ამ სართულს გააჩნია მეორე გასასვლელიც), ±0.00 ნიშნულზე მდებარე სართულის დამკავებელთა ნახევარი (ამ სართულსაც გააჩნია მეორე გასასვლელი) და +3.40 ნიშნულზე მდებარე სართულის დამკავებელთა მესამედი (ამ სართულს გააჩნია სამი გასასვლელი), რაც ჯამში შეადგენს 279 დამკავებელს (90/2+333/2+134/3= 257). ამის შემდგომ, 1027.5 ქვეთავის მიხედვით, მიღებულ რაოდენობას ვამრავლებთ 0,28 მ^2-ზე, რაც შეადგენს 72.0 მ^2-ს, ანუ საპროექტო შენობის ეზოში (+3.30 ნიშნულზე) მდებარე უსაფრთხო გამანაწილებლის მოთხოვნილი ფართობი არის 72.0 კვ.მ, რაც პროექტით გათვალისწინებულია;

- შენობის ცალკეულ ფართობებში გათვალისწინებული გასავლელების სიგანეები აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.4 ქვეთავის მოთხოვნებს;

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო შენობის ±0.00 ნიშნულზე მდებარე ყველა მისაწვდომ შესასვლელამდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104-ე ქვეთავისა. 1103.2.5 და 1103.2.9 ქვეთავების შესაბამისად, **დს** ჯგუფის დაკავებულობებს და მოწყობილობა-დანადგარებისათვის განკუთვნილ სივრცეებს მისაწვდომი სვლაგეზი არ ესაჭიროება;

- საპროექტო შენობას +3.40 ნიშნულზე გააჩნია ერთი მთავარი შესასვლელი, რომელიც არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას;

- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის (იხ. სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება);

- შენობა უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტის ოთახებით და საშხაპეებით, რაც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- 1109.15.3 ქვეთავის თანახმად, ორივე საცურაო აუზი მისაწვდომია (იხ. სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება)

- სასადილო ფართობები მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე და სასადილო ზედაპირების 5% მისაწვდომია, თანახმად 1108.2.9 და 1108.2.9.1 ქვეთავებისა;

- საუნები მისაწვდომია, რაც აკმაყოფილებს 1109.6 ქვეთავის მოთხოვნას (იხ. სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება);

- 1109.12.1 ქვეთავის შესაბამისად, გასახდელებში უზრუნველყოფილია მისაწვდომი ადგილები, რომელთა რაოდენობა საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ია (იხ. სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება);

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. 1007.2 ქვეთავის შესაბამისად, თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს 1007.3 და 1022-ე ქვეთავების შესაბამისად მოწყობილ მისაწვდომ გზა-კიბეებს, 1007.7 ქვეთავის შესაბამის სხვისი დახმარებით თავდაღწევისათვის განკუთვნილ გარე ფართობს (რომელიც მოწყობილია ±0.00 ნიშნულზე, „G-H“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბის გარეთ) და მისაწვდომ სვლაგეზს. რადგან შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, 1007.3 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, მისაწვდომი გზა-კიბის სახელურებს შორის 1.2 მ სიგანე საჭირო არ არის, თუმცა ეს ნორმაც დაცულია. ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გამო მისაწვდომ გზა-კიბეებს თავშესაფრის ფართობები არ მოეთხოვება, თანახმად 1007.3 ქვეთავის N1 და 1007.4 ქვეთავის N2 გამონაკლისებისა.

შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, „4-J“ და „A-J“ ღერძებს შორის მდებარე გარე კედლების ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები 9.0 მ-ზე მეტია და ამიტომ, 602 ცხრილის მიხედვით, ამ კედლებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება უპირობოდ;

- აღსანიშნავია, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი არის შემადგენელი ნაწილი განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრული არეალისა, რომლის ფარგლებში შემავალ მიწის ნაკვეთებზე უკვე განსაზღვრულია თუ რა უნდა აშენდეს (ბევრი შენობა უკვე აშენებულია ან მშენებარეა), შესაბამისად, ექსპერტის აზრით, ამ შემთხვევაში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, ხშირ შემთხვევებში, უნდა ავითვალოთ არა მიწის ნაკვეთების საზღვრებიდან არამედ შენობებს შორის გავლებული წარმოსახვითი ხაზიდან (შუახაზიდან). გამომდინარე ზემოთთქმულიდან, საპროექტო შენობის „4-A“ გარე კედლის მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი შეადგენს 4.18 მ-ს, ხოლო „J-4“ ღერძებს შორის მდებარე გარე კედლის - 8.94 მ-ს (იხ: გენგეგმა), რაც იმას ნიშნავს, რომ შენობის კონსტრუქციის ტიპის (II-B ტიპი) გათვალისწინებით, 602 ცხრილის მიხედვით, არც ამ კედლებს მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი;

- რაც შეეხება გარე კედლებში მოწყობილი ღიობების ფართობებს, 705.8.1 ქვეთავის N2 გამონაკლისის თანახმად, კონსტრუქციული ტიპის (II-B ტიპი) და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების (3.0 მ-ზე მეტი) გათვალისწინებით, საპროექტო შენობაში შეუზღუდავი რაოდენობის დაუცველი ღიობებია დასაშვები.

  შენიშვნა №1: გარე კედლების ხანძარმედეგობა და კედლის ღიობების პროცენტულობა დეტალურად არის წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზის ცხრილში (გვ. 2 და 3).

  შენიშვნა №2: ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები გაზომილია კედლების ზედაპირიდან (მართი კუთხით), როგორც საკადასტრო საზღვრამდე, ასევე განაშენიანების რეგულირების გეგმით დამტკიცებულ შენობებს შორის არსებული სივრცეების შუახაზებამდე.

- ვინაიდან შენობა არ არის სამ სართულზე მეტი და ამასთან, მთლიანადაა აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, 705.8.5 ქვეთავის N1 და N2 გამონაკლისების მიხედვით, მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში გამიჯვნის საჭიროება არ არის და შესაბამისად არც პროექტით არის გათვალისწინებული;

- გარე კედლებს არ გააჩნია პარაპეტი, რადგან ამის აუცილებლობა, 705.11 ქვეთავის N1 გამონაკლისით, არ არის.

შენიშვნა: ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კოსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები. სახურავი არის გამწვანებული;

- 601-ე ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (**II-B** ტიპი) გამომდინარე სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება;

შენიშვნა: სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით, II-B ტიპის შემთხვევაში უნდა განეკუთვნოს C კლასს, თანახმად 1505.1ა ცხრილისა (C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას).

ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.

შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან (**II-B**) გამომდინარე შენობის იატაკის კონსტრუქციებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება, თუმცა პროექტის მიხედვით გააჩნია 2 საათიანი, შესაბამისად დაკავებულობების აუცილებელი თარაზული გამიჯვნის მოთხოვნები, რაც 508.4 ცხრილში საათების მიხედვითაა დადგენილი დაცულია;

- რაც შეეხება შვეულ გამმიჯნავებს განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

1) -3.40 ნიშნულზე მდებარე სახანძრო ტუმბოს ოთახი დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრით, ხოლო ამ ტიხარში გაჭრილი ღიობი დაცულია 60 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობით, რაც შესაბამისობაშია 913.2.1 ქვეთავის N1 გამონაკლისთან და 716.5 ცხრილთან;
2) -3.40 ნიშნულზე მდებარე **სწ-1** და **დს** დაკავებულობები, 508.4 ცხრილის მიხედვით, მართალია გასამიჯნია, მაგრამ ფართობის მიხედვით **სწ-1** დაკავებულობა წარმოადგენს 508.2 ქვეთავის შესაბამის დამხმარე დაკავებულობას და ამიტომ მისი გამიჯვნა მთავარი დაკავებულობისგან (**დს**) საჭირო არ არის;

3) ±0.00 ნიშნულზე, ერთმანეთის უშუალოდ მომიჯნავედ მდებარე აუზის სივრცე (**თვ-3**), გასახდელები (**სქ**) და ბარის სამზარეულო (**სქ**) აღჭურვილია თანაბარი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით (ყველაზე მკაცრით, რაც თითოეულს მოეთხოვებაა) და ამიტომ ისინი წარმოადგენს 508.3 ქვეთავის შესაბამის გაუმიჯნავ დაკავებულობებს, რომლებსაც ერთმანეთისგან გამიჯვნა არ ესაჭიროება;
4) რაც შეეხება ±0.00 ნიშნულზე საცურაო აუზის (**თვ-3**) მომიჯნავედ მდებარე მწვრთნელის ოთახს (**სქ**), საუნებს (**სქ**) და ინვენტარის საწყობს (**სწ-1**), ისინიც, ფართობის მიხედვით, წარმოადგენს 508.2 ქვეთავის შესაბამის დამხმარე დაკავებულობებს და ამიტომ მათი გამიჯვნა მთავარი დაკავებულობისგან (**თვ-3**) საჭირო არ არის;
5) +3.40 ნიშნულზე მდებარე **სქ** და **სწ-1** დაკავებულობი გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე გამმიჯნავი კედლით, რაც აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნას;
6) 1018.1 ცხრილის თანახმად, საპროექტო შენობის დერეფნის კედლებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ ესაჭიროება (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გამო);
7) +3.40/4.30 ნიშნულებზე, ერთ-ერთ გზა-კიბესთან მდებარე გზა-დერეფანი, 1023.3 ქვეთავის თანახმად, შენობის დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდით, რომელშიც მოწყობილია 60 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობი (რა თქმა უნდა, გარდა შენობის გარეთ გამავალი კარებისა), რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;
8) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გზა-კიბეებიც შემოზღუდულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით. გზა-კიბეების შემომზღუდავ კედლებში მოწყობილი ღიობები დაცულია 60 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;
9) შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 1 საათი, რაც აკმაყოფილებს 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს. ლიფტის შახტის ღიობები

დაცულია 60 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

შენიშვნა №1: ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.1 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი, რომელიც კვამლგაუმტარი ზღუდის კედელში არ მდებარეობს, NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №2: 716.5.2 ქვეთავის თანახმად, ლიფტის კარის ანაწყობები NFPA 252-ის ან UL 10B-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს.

შენიშვნა №3: საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით).

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „ჩესების“ მიხედვით.

10. ატრიუმის შეფასება

- ვინაიდან ატრიუმის იატაკის ფართობი დაცულია ავტოსაშხეფი სისტემით, მისი გამოყენების შეზღუდვა, სახანძრო თვალსაზრისით მცირე საფრთხის შემცველი მასალებითა და დეკორაციებით, საჭირო არ არის თანახმად 404.2 ქვეთავისა;

- შენობა მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, შესაბამისად, დაცულია 404.3 ქვეთავის მოთხოვნები;

- ვინაიდან ატრიუმი აკავშირებს მხოლოდ ორ სართულს, ატრიუმის სივრცეში საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემის არსებობა საჭირო არ არის, თანახმად 404.4 ქვეთავისა;

- 404.5 ქვეთავის თანახმად, საპროექტო ატრიუმში 909-ე ქვეთავის შესაბამისი კვამლის საკონტროლო სისტემის აუცილებლობა არ არის, რადაგან ატრიუმი მხოლოდ ორ სართულს აკავშირებს;

- +3.40 ნიშნულზე მდებარე ატრიუმის სივრცე მომიჯნავე სივრცეებისგან გამიჯნულია მინის კედლით, რომელიც კვამლგაუმტარ ტიხარს ქმნის და რომელიც დაგეგმარებულია 404.6 ქვეთავის N1 გამონაკლისის მიხედვით (იხ. განმარტებითი ბარათი);

- იმ ადგილებში სადაც აუცილებელი გასასვლელი საშუალებები ატრიუმის სივრცეს კვეთს, გასასვლელთან მისადგომისაკენ სავალი მანძილის ის ნაწილები, რომლებიც ატრიუმის სივრცეშია მოქცეული 60 მ-ს არ აღემატება, თანახმად 404.9 ქვეთავის მოთხოვნისა.

ატრიუმი დაგეგმარებულია „წესების“ მიხედვით.

11. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, გარდა იმ ფართობებისა, სადაც „წესების“ მიხედვით განსაზღვრული არ არის. +3.40 ნიშნულზე, ატრიუმის გარშემო გათვალისწინებულია ე.წ „დრენჩერის ფარდა“;

  შენიშვნა №1: ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1 - 903.3.6 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

  შენიშვნა №2: ავტოსაშხეფი სისტემა შესაძლებელია არ მოეწყოს 403.3 ქვეთავის N2 გამონაკლისით, 903.2 ქვეთავის გამონაკლისითა და 903.3.1.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ ადგილებში. ასეთი ადგილები უნდა დაზუსტდეს საინჟინრო პროექტის ხანძარქრობის ნაწილში.

  შენიშვნა №3: ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემების საჭიროება შესაძლებელია განისაზღვროს საინჟინრო პროექტის ხანძარქრობის

ნაწილში. ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები უნდა მოეწყოს 904-ე ქვეთავის შესაბამისად.

- შენობის ყველა სართულზე, გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში.

შენიშვნა: სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 905 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია კვამლის კონტროლის სისტემა, კერძოდ: გზა-კიბეებს გააჩნია მექანიკური განიავების სისტემა (ჰაერის მოდინება გაწოვა); დერეფნები და მიწისქვეშა სართული აღჭურვილია მექანიკური კვამლგამწოვი სისტემებით. რაც შეეხება ლიფტის შახტას, ვინაიდან ის აკავშირებს მხოლოდ 3 სართულს, მას 713.14.1 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგი ფოიეები არ მოეთხოვება, შესაბამისად არ არის საჭირო დაწნევის სიტემაც (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი).

შენიშვნა: სისტემები უნდა მოეწყოს 909 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- -3.40 ნიშნულზე განთავსებულია სახანძრო ავზების და სახანძრო ტუმბოს ოთახი;

შენიშვნა: სახანძრო ტუმბოებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს 913-ე ქვეთავის მოთხოვნები.

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

1) სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;

2) კვამლის/ცეცხლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც განთავსებულია ყველგან, კიბის უჯრედების და ტუალეტის ოთახების გარდა;

3) სახანძრო სიგნალიზაციის (ხმოვანი და ვიზუალი განგაშის) სისტემა, რომელიც მოწყობილია ყველა ძირითად დაკავებულ სივრცეში, კიბის უჯრედების, ტუალეტის ოთახების, მექანიკური მოწყობილობების სივრცის, საწყობების და დამხმარე სათავსების გარდა;

შენიშვნა: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება;

შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- საპროექტო შენობას გააჩნია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით.

შენიშვნა: სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA -ის სტანდარტების შესაბამისად (რომლების ეხება სისტემების დაგეგმარებას) და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2-912.5 ქვეთავების მოთხოვნებს (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- როგორც ეს მისაწვდომობის შეფასებისას აღვნიშნეთ, საპროექტო შენობას გააჩნია 1007.7 ქვეთავის შესაბამისი სხვისი დახმარებით თავდაღწევისათვის განკუთვნილი გარე ფართობი (ფართობი მოწყობილია ±0.00 ნიშნულზე, „G-H“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბის გარეთ), რომელსაც 1007.7.2 ქვეთავის მიხედვით ესაჭიროება ორმხრივი კავშირის სისტემა და რომელიც, 1007.8 ქვეთავის თანახმად, გათვალისწინებულია სამივე სართულზე, ლიფტთან ახლოს;

შენიშვნა: ვინაიდან შენობას არ გააჩნია ხანძრის მართვის ცენდრი ან/და ცენტრალური საკონტროლო პუნქტი, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემა უნდა გამოსცემდეს როგორც ხმოვან, ისე ვიზუალურ სიგნალებს.

- ტერიტორიაზე (საუბარია განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრულ არეალზე), გარე ხანძარქრობისათვის, გათვალისწინებულია 1 სახანძრო ჰიდრანტი, რომელიც საპროექტო შენობიდან დაახლოებით 32 მეტრის დაშორებითაა (იხ: გენგეგმა).

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ:

- სახანძრო ავზებისა და ტუმბოს ოთახს (**დს**), ტექნიკური მოწყობილობების სივრცეს (**დს**) და დამხმარე სათავსოებს (**დს**) წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები, 1602.1 ცხრილის მიხედვით, არ ესაჭიროება;

- -3.40 ნიშნულზე, სადაც მოწყობილია სავაჭრო სივრცე **(სვ)**, სადაც მოწყობილია საერთო სარგებლობის ტუალეტები თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით და ერთი დამოუკიდებელი მისაწვდომი ტუალეტი შშმ პირთათვის.

- -3.40 ნიშნულზე, სადაც ინვენტარის საწყობი **(სწ-1)** და ჯგუფური ტრეინინგების ოთახია **(თვ-3)**, დერეფნის სივრცეში გათვალისწინებულია ტუალეტები თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით, ორ-ორი ხელსაბანითა და თითო-თითო უნიტაზით. ამავე სივრცეებშია შშმ პირთათვის მისაწვდომი ტუალეტები. სამომსახურო ნიჟარა კი მოწყობილია ერთ-ერთ დამხმარე სათავსოში.

- ±0.00 ნიშნულზე მოწყობილია გამოსაცვლელი და გასახდელი ოთახები, ცალ-ცალკე, როგორც ქალების, ისე კაცების და ასევე საოჯახო. ქალების და კაცების გასახდელებში მოწყობილია ტუალეტები, თითო უნიტაზით და ხელსაბანით, ასევე შშმ პირთათვის მისაწვდომი ტუალეტები. საშხაპეები და თითო-თითო საშხაპე შშმ პირთათვის. საოჯახო გასახდელში მოწყობილია ერთი შშმ პირთათვის მისაწვდომი ტუალეტი, საშხაპეები, საიდანაც ერთი საშხაპე შშმ პირთათვის არის განკუთვნილი. სამომსახურო ნიჟარა მოწყობილია ქალების გამოსაცვლელ ოთახში. სართულზე არსებული ყველა ფართის დაკავებულობიდან გამომდინარე მათი რაოდენობა აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილში ასახულ აუცილებელ ფიქსირებულ რაოდენობას.

- +3.40 ნიშნულზე, დერეფნის სივრცეში გათვალისწინებულია ტუალეტები თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით, ორ-ორი ხელსაბანითა და უნიტაზით. ასევე გათვალისწინებულია შშმ პირთათვის მისაწვდომი ერთი ტუალეტი. სამომსახურო ნიჟარა განთავსებულია აქვე მოწყობილ დამხმარე სათავსოში. მასაჟის ოთახებს გააჩნიათ კუთვნილი ტუალეტი თითო ხელსაბნითა და უნიტაზით.

- სამივე სართულზე გათვალისწინებულია სასმელი წყლის აპარატების მოწყობა, რასაც თავისთავად გააჩნია წყლის დასალევი შადრევნის ფუნქცია და შეესაბამება „წესების“ მოთხოვნებს.

  შენიშვნა: წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა დეტალურად არის ასახული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი“-ს ცხრილში (გვ. 8)

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

13. ლიფტის შეფასება:

- საპროექტო შენობას გააჩნია 1 ლიფტი, რომელსაც (სართულიანობის გამო), 714.4.1 ქვეთავის თანახმად, შემოზღუდული ფოიეები არ ესაჭიროება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლიფტის შახტას არც დაწნევა მოეთხოვება (იხ. განმარტებითი ბარათი);

- ლიფტი არის მისაწვდომი სვლაგეზის შემადგენელი კომპონენტი და არა აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რადგან ამის აუცილებლობა (სართულიანობის გამო) არ არის;

- სართულიანობის გამო არც იმის აუცილებლობაა, რომ ლიფტის კაბინაში 60სმ X 2,15მ ზომის, არანაკლებ 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცე განთავსდეს, რაც აკმაყოფილებს 1702.4 ქვეთავის მოთხოვნებს;

- რაც შეეხება 1704-ე ქვეთავით მოთხოვნილ საჰაერო ნახვრეტებს, რომლებიც ლიფტის შახტების თავში უნდა მოეწყოს, უნდა აღინიშნოს, რომ შენობის მცირე სართულიანობის გამო არც ეს ღონისძიებაა საჭირო.

  შენიშვნა N1: ლიფტები უნდა მოეწყოს მე-17 თავის მოთხოვნათა დაცვით.

  შენიშვნა N2: ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს.

ლიფტთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

14. სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა - ნაგებობასთან მისასვლელი გზების შეფასება:

- საპროექტო შენობას, რომლის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 10 მეტრს არ აღემატება, ჩრდილოეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან გააჩნია 6.0 მ სიგანის და მოხვევის შიგა რადიუსის მქონე სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის **გადაადგილებისათვის** განკუთვნილი გზები, რაც აკმაყოფილებს 915.4 ქვეთავის მოთხოვნებს. აღსიშნავია, რომ ეს გზები, ამავდროს, წარმოადგენს ქვეთავის შესაბამის საავარიო-სამაშველო ტექნიკის **მისასვლელ** გზებსაც;

- 915.7 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობის ჩრდილოეთით მდებარე სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის **მისასვლელი** გზა მიდის შენობის მთავარ შესასვლელ კარამდე, არაუმეტეს 15 მ-ის დაშორებით და ამასთან, გზა (საუბარია ორივე გზაზე) ისეა მოწყობილი, რომ შენობის პირველი სართულის გარე კედლის ნებისმიერი ნაწილი განთავსებულია საავარიო-სამაშველო ტექნიკის **მისასვლელი** გზიდან არაუმეტეს 45 მ-ის მანძილზე;

- ვინაიდან სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზები გარს არ უვლის შენობას, ეს გზები არის ჩიხური და ამიტომ თითოეულს გააჩნია 915.23 ქვეთავის შესაბამისი მოედანი, სახანძრო და საავარიო ტექნიკის მოსაბრუნებლად, რომლის ზომებია 15მX15მ.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზები დაგეგმარებულია „წესების“ მიხედვით.

დასკვნა:

ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.06.006.160) დაპროექტებული დახურული საცურაო აუზის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება!

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. კონსტუქციული(სტრუქტურული) პროექტის დამუშავებისას დაცულ უნდა იქნას პროექტში მითითებული ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის 721-ე ქვეთავის მიხედვით.
3. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან), ხანძრის მართვის ცენტრის მდებარეობა და მისადგომი, აგრეთვე ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები და სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
4. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები
- კვამლის საკონტროლო სისტემა
- ლიფტების შახტის და ლიფტის კაბინის განათება
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად
- სახანძრო განგაშის სისტემები

- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები)

5. ყველა ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი უნდა აკმაყოფილებდეს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს;
6. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე;
7. უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

ექსპერტი: ირაკლი კვარაცხელია

შ.პ.ს “ქალაქპროექტი“

საექსპერტო შეფასება

ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.06.006.160) დაპროექტებული დახურული საცურაო აუზის არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“- შესაბამისობის დადგენის მიზნით

დირექტორი:  მანუჩარ მახათაძე

ექსპერტი:  ირაკლი კვარაცხელია

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 3

საექსპერტო შეფასება მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- მისაწვდომი სვლაგეზები (მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები, თითოეული კარი და კართან მანევრირებისათვის საჭირო სივრცეები, ლიფტი)
- ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები (მისაწვდომი გზა-კიბეები, ფანჯრები, სახელურები)
- წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები (ტუალეტის ოთახები, უნიტაზები, ხელსაბანები, საშხაპეები, საუნები)
- საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები (ნიშნები, ორმხრივი საკომუნიკაციო სისტემები)
- სპეციალური ოთახები და სივრცეები (თავშეყრის ფართობები, ტანსაცმლის გამოსაცვლელი და გასახდელი ოთახები; საცურაო აუზები)

მისაწვდომი სვლაგეზების შეფასება:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. **მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით და ასევე საპროექტო ფართში მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ზე მეტს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

2. **კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების, ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია. <u>(ზღურბლები მოწყობილია გარე სივრციდან შენობაში და დერეფნებიდან ოთახებში შესასვლელ კარებში)</u>

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. შენობაში მოწყობილია 408 ქვეთავის შესაბამისი შეზღუდული გამოყენების ერთი ლიფტი. ასეთი ლიფტის მოწყობის შესაძლებლობა ძირითადად დასაშვებია ისეთ ადგილებში, სადაც სტანდარტული ლიფტების მოწყობა როგორც ზოგადად და ასევე ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით არაპრაქტიკულია. ვინაიდან საპროექტო ობიექტის ფუნქცია განსაზღვრულია როგორც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და აღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე ობიექტზე ვრცელდება არაერთი საგამონაკლისო დაშვება, შესაძლებლად მიგვაჩნია ლიფტი პასუხობდეს არა სტანდარტული, არამედ 408 ქვეთავით განსაზღვრული, შეზღუდული გამოყენების პირობებს.

   ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 408 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (408 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად):

- კაბინის კარი მდებარეობს კაბინის ვიწრო ბოლოსთან და მისი თავისუფალი ღიობის სიგანე მეტია 820 მმ-ზე, რაც შესაბამისობაშია 408.3.3.1 ქვეთავთან.

- მისაწვდომი ლიფტის კაბინის იატაკის თავისუფალი ფართობის სიგანე მეტია 1065 მმ-ზე, ხოლო თავისუფალი ფართობი კი აღემატება 1,5 კვ.მ-ს, რაც შეესაბამება 408.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტების შეფასება:

1. **საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:**

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 170 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 280 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.

- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.

- კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.

- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები

- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან და შენობიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზა-კიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

2. **ფანჯრები შეესაბამება 506-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- შენობაში მოწყობილია ვიტრაჟები, რომლებიც არ არის გაღებადი, შესაბამისად ამ ქვეთავის მოთხოვნების გათვალისწინების საჭიროება არ არის.

3. **სახელურები შეესაბამება 505-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- სახელურები მოწყობილია კიბეების ორივე მხარეს, რაც აკმაყოფილებს 505.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- სახელურების სიმაღლე კიბეებზე აკმაყოფილებს 505.4 ქეთავის მოთხოვნებს.

- სახელურების გაგრძელებები მოწყობილია 505.10 ქვეთავის შესაბამისად.

<u>წყალსადენის ელემენტების და მოწყობილობების შეფასება:</u>

1. **მისაწვდომი ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომი ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

- შენობაში მოწყობილ მისაწვდომი ტუალეტის ნაკვეთურებში უნიტაზთან გათვალისწინებულია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.9 ქვეთავის მოთხოვნას.

- ეტლისთვის მისაწვდომი ტუალეტის ნაკვეთურების კარი არ იღება ნაკვეთურის აუცილებელ მინიმალურ ფართობში, რაც აკმაყოფილებს 604.9.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ტუალეტის ნაკვეთურებისთვის ფეხის ფლანგისთვის საჭირო სივრცე მოწყობილია 604.9.5.1 და 604.6.5.2 ქვეთავების შესაბამისად.

- შენობაში მოწყობილ მისაწვდომი ტუალეტის ოთახებში, უნიტაზთან გათვალისწინებულია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავით დადგენილ მინიმალურ ზომებს.

2. მისაწვდომი ტუალეტის ოთახებში მოწყობილი უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზები განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზებთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

- მისაწვდომი ტუალეტის ნაკვეთურში განთავსებული უნტაზისთვის მოწყობილია ხელმოსაჭიდი ძელები, რაც აკმაყოფილებს 604.9.6, 609, 604.5.1 და 604.5.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

3. მისაწვდომი ტუალეტის ოთახებში მოწყობილი ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 და 305.3.1 ქვეთავების შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606.3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

4. გასახდელებში მოწყობილი საშხაპეები შეესაბამება 608 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ეტლის შესაგორებელი საშხაპის სტანდარტული ნაკვეთურების შიგა თავისუფალი ზომები შეესაბამება 608.2.2.1 ქვეთავს.

- ეტლის შეაგორებელი საშხაპის სტანდარტულ ნაკვეთურებთან დაცულია 1500 მმ სიგრძისა და 760 მმ სიღრმის იატაკის თავისუფალი სივრცე, რაც აკმაყოფილებს 608.2.2.2. ქვეთავის მოთხოვნებს.

- ეტლის შესაგორებელი საშხაპის სტანდარტულ ნაკვეთურებში მოწყობილია საშხაპის ნაკვეთურის დასაჯდომები, რაც აკმაყოფილებს 610 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ეტლის შესაგორებელი საშხაპის სტანდარტულ ნაკვეთურებში მოწყობილია ხელმოსაჭიდი ძელები 608.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

5. საცურაო აუზის დარბაზში მოწყობილი საუნები შეესაბამება 612 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- საუნაში მიწყობილი დასაჯდომი შეესაბამება 903-ე ქვეთავის მოთხოვნას.

- საუშასი შესასვლელი კარი არ იღება იატაკის თავისუფალ სივრცეში და შეესაბამება 903.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- ძელსამის დასაჯდომის ზომები აკმაყოფილებს 903.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

- 612.3 ქვეთავის შესაბამისად საუნებში მოწყობილია მოსატრიალებელი სივრცე.

<u>საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:</u>

1. ნიშნები შეესაბამება 703 ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებეულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.**

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზა-კიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.**

- თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომს თავშესაფრის ფართობთან მომიჯნავე იატაკის ფართობიდან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“, მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოთი, **ასეთი ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავს ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით და ასეთი ნიშანი არის განათებული.**

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია ყველა მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.**

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

  - სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

  - ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

  - სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

  - ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

  - ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

  - შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

  - სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

  - ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

  - სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
  - ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.

  - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

  - მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

- **ორმხრივი კავშირის საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც მოწყობილია სამივე სართულზე, ლიფტთან ახლოს შეესაბამება 708 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ორმხრივი საკომუნიკაციო სისტემის ინდიკატორი გადმოსცემს როგორც ხმოვან, ისე ხილული სიგნალებს, თანახმად 708.2 ქვეთავისა.

  - ყურმილის კაბელების სიგრძე არის არაუმცირეს 730 მმ-ისა, 708.3 ქვეთავის შესაბამისად.

<u>სპეციალური ოთახები და სივრცეები:</u>

1. თავშეყრის ფართობები

შენობაში მოწყობილი თავშეყრის ფართობები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომი ეროვნული სტანდარტები“-ს მე-8 თავის დებულებებს. საპროექტო შენობაში მდებარე თავშეყრის სივრცეებში ეტლისთვის განკუთვნილი მისაწვდომი სივრცეების რაოდენობა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების მოთხოვნების მიხედვით. ყველა ასეთი სივრცე

შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ:

- ეტლისათვის განკუთვნილი თითოეული სივრცის მინიმალური სიგანე და მინიმალური სიღრმე აკმაყოფილებს 802.3 და 802.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ეტლისთვის განკუთვნილი სივრცეები ემიჯნება მისაწვდომ სვლაგეზს და აკმაყოფილებს 802.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ეტლისთვის განკუთვნილი სივრცეების მინიმალური რაოდენობა აკმაყოფილებს 802.10 ქვეთავის ოთხოვნებს.

2. ტანსაცმლის გამოსაცვლელი და გასახდელი ოთახები.

შენობაში ტანსაცმლის გამოსაცვლელი და გასახდელი ოთახები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომი ეროვნული სტანდარტები“-ს მე-8 თავის დებულებებს. კერძოდ:

- ტანსაცმლის გამოსაცვლელ და გასახდელ ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 803.2 და 304.3.2.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გასახდელები მოწყობილია 903-ე ქვეთავის შესაბამისი ძელსკამები, რაც აკმაყოფილებს 803.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- ძელსკამის ბოლოში მდებარეობს იატაკის თავისუფალი სივრცე, რომელსაც პარალელური მისაწვდომი აქვს ძელსკამის ღერძთან, თანახმად 903.2 ქვეთავისა.

- ძელსამის დასაჯდომის ზომები აკმაყოფილებს 903.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ძელსკამის დასაჯდომი თავი მდებარეობსიატაკოდან არაუმცირეს 430 მმ და არაუმეტეს 480 მმ სიმაღლეზე, რაც აკმაყოფილებს 903.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების მოთხოვნების მიხედვით განსაზღვრულია ტანსაცმლის გამოსაცვლელ და შესანახ ოთახებში მოწყობილი ქურთუკის საკიდების და თაროების (კარადების), თითოეული ტიპის მისაწვომობის რაოდენობა, რომლებიც მოწყობილია 803.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

3. საცურაო აუზები.

საცურაო აუზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომი ეროვნული სტანდარტები“-ს 1009 ქვეთავის მოთხონებს, კერძოდ:

- საცურაო აუზებში მოსახვედრად გთვალისიწნებულია მისაწვდომი საშუალება საცურაო აუზის ლიფტის სახით. ვინაიდან აუზებს აქვს 90 მეტრზე ნაკლები საცურაო აუზის სწორი კედელი, თითოეულ აუზზე ერთი ლიფტი სრულიად საკმარისია და აკმაყოფილებს 1009.1.1 ქეთავის მოთხოვნას.

- თითოეული აუზის ლიფტი შეესაბამება 1009.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

<u>დ ა ს კ ვ ნ ა</u>

<u>ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.06.006.160) დაპროექტებული დახურული საცურაო აუზის მისაწვდომობის პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სატანდარტები“-ს მოთხოვნებთან. საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.</u>

ექსპერტი:  ირაკლი კვარაცხელია

ექსპერტის მონაცემები

სახელი, გვარი: ირაკლი კვარაცხელია

დაბადების თარიღი და ადგილი: 23 ივნისი 1973 წელი, ქ. თბილისი

მისამართი: ქ. თბილისი, ჯანაშვილის ქ 5-7, ტ: 597 228 560

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესია: არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი: 18 წელი

პროფესიული გამოცდილება: 1998 – 2008 წწ. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური (მთ. სპეციალისტი, შემდგომ განყოფილების უფროსი)

2008 –2010 წწ. შპს “საამშენებლო კომპანია პლანეტა” (არქიტექტორი)

2010 – 2017 წწ შ.პ.ს “თბილქალაქპროექტი" (არქიტექტორი, შემდგომ დირექტორი დღემდე)

საქართველო

დიპლომი უა № 003165

მიეცა არაკელი ელისბაროვის ძე კვირიკაშვილს

იმაზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის „17" ივლისის გადაწყვეტილებით ი.ა. კვირიკაშვილს მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

რეგისტრაციის № 4216

ქალაქი თბილისი „29" VII 1996 წ.

МПФ Гознака. 1996.

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-007

გადაეცემა

ირაკლი კვარაცხელიას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

ღია საზოგადოების ფონდი

March 25-26, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

Irakli Kvaratskhelia

Keti Khutsishvili
Executive Director

www.osgf.ge

4, Chovelidze street, Tbilisi 0108, Georgia, Tel: (+995 32) 225 04 63; E-mail contact@osgf.ge